პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 28 (6093)

1978 წ. 8 თებერვალი ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ყველამ როდი გაბედა

**ბაკურიანი, 6 თებერვალი.** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ოთხ დღეს გაგრძელდა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა სათხილამურო სპორტში. საქართველოს 19 უმაღლესი სასწავლებლიდან სტარტზე მხოლოდ 9 კოლექტივი გამოვიდა. ამავე დროს შეჯიბრების მონაწილეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ან არ იასპარეზა, ან ძალზე სუსტად ისპარეზა. მაგალითად, სპეციალურ და გიგანტურ სლალომში მხოლოდ 2-3 ქალი ჩაება ბრძოლაში, ვაჟთა შორის სპეციალურ სლალომში განაცხადით დაშვებული 22 მონაწილიდან სტარტის აღება ცამეტმა გაბედა. გიგანტურ სლალომში კი 23-იდან მარტო 10 დაეშვა.

თბილისის პედინსტიტუტმა თითქმის მთელი გუნდი ჩამოიყვანა, შეჯიბრებაში კი მარტო ორი კაცით გამოვიდა. ხტომები არ გამართულა მონაწილეების არყოლის გამო.

პროგრამის რვა სახეობიდან შვიდში პირველობა (და საერთო ჩათვლაშიც) ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოიგეს.

პირად პირველობაში სამთო-მოთხილამურე ვაჟთა შორის სამივე საპრიზო ადგილი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ს. მიქაბერიძემ, ლ. ბანდურმა და დ. სოთიშვილმა ამ თანმიმდევრობით დაიკავეს, როგორც გიგანტურ, ისე სპეციალურ სლალომში. ქალთა შორის გიგანტში იმარჯვა მ. კოზანაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), სპეციალურ სლალომში — ა. ორლოვსკაიამ (თბილისის პედინსტიტუტი).

5 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა ნ. ვასილენკომ, ვაჟთა შორის 10 კილომეტრზე ასპარეზობაში კი — ა. კალმიკოვმა (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

საბოლოო ჯამში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა 272 ქულა დააგროვა. II ადგილზეა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 210 ქულა. 67 ქულით III ადგილზე გავიდნენ უნივერსიტეტის მოთხილამურეები.

**მ. ზაქარეიშვილი.**

## VI პარტიის ფინალი

როგორც გუშინ ვიუწყებოდით, ორშაბათს ბად-კისინგენში (გფრ) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალურ მატჩში დამთავრდა წინადღით გადადებული VI პარტია. იგი კუშნირმა მოიგო. გთავაზობთ ამ პარტიის ფინალს.

კუშნირი



ჩიბურდანიძე

### ჭადრაკი

პარტია ამ პოზიციაში იყო გადადებული შავების მე-40 სვლის შემდეგ. თეთრებს მძიმე მდგომარეობა აქვთ. მათი ორი პაიკი (b3, c5) მუდმივ დაცვას საჭიროებს. ეტლებს შორის დარღვეულია ურთიერთობა, ცენტრალური უჯრები მეტოქის კონტროლის ქვეშაა. კუშნირმა ამ უპირატესობის გამოყენებით თამაში მოსაგებ ეტლების ენდშპილში გადაიყვანა. პარტიის ბედი მისმა ძლიერმა ცენტრალურმა გამსვლელმა პაიკებმა გადაწყვიტა.

41. მe2 (ჩაწერილი სვლა) 41. ... მe4 42. ეa2 მ:d6 43. cd კe5 44. ეc1 ე:c1+ 45. მ:c1 კ:d6 46. ეc2 კa3 47. მფe2 მფg7 48. ეc3 d4 49. ეc4 e5 50. მd3 e4 51. მc5 კ:c5 52. ე:c5 ე:b3 53. ე:a5 ეb2+ 54. მფe1 d3 55. ეe5 f5 56. a5 ეe2+ 57. მფf1 ეa2 58. მფe1 მფf6 59. ეd5 მფe6 60. ეb5 f4 61. ეb8 ე:a5 62. ეe8+ მფd5 63. ეd8+ მფc4 64. ეc8+ მფd4 65. ეd8+ ეd5 66. ეg8 e3 67. fe fe 68. მფd1 ეa5. თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4:2 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

გუშინ მეტოქეებს VII პარტია უნდა გაეთამაშათ.



## ბათუმიდან აფრენილი არწივი

**ომისწინა** წლებში ბათუმის „დინამოს" საწყლოსნო აუზში ხშირად ნახავდით ტანმორჩილ შავგვრემან ჭაბუკს, რომელიც ამხანაგებში ცნობილი იყო როგორც კარგი მოცურავე და წყალბურთელი. ხშირად ვარჯიშის დამთავრების შემდეგ იგი აეროკლუბისკენ მიიჩქაროდა, სადაც სწავლობდა ყველაფერს, რაც ავიაციას შეეხებოდა. ამ ახალგაზრდას გარი ერქვა, გვარად მერკვილაძე იყო. იგი ოცნებობდა გამხდარიყო კარგი სპორტსმენი და ბევრსაც მიაღწია — ბრწყინვალედ ცურავდა 100 მეტრს თავისუფალი სტილით. იმ დროის მოცურავეები, ჩვეულებრივ, წყალბურთელებიც იყვნენ. მებრძოლი ხასიათის გამო გარი აჭარის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების კაპიტნად აირჩიეს. მას თავისი გუნდი წარმატებით გამოჰყავდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

გარი გამუდმებით ოცნებობდა ცაზე, ავიაციაზე. ამ ოცნებამ მიიყვანა იგი თბილისის საფრენოსნო სკოლაში. გარი მერკვილაძეს სურდა გამხდარიყო მფრინავი, ემართა სამგზავრო თვითმფრინავები. მაგრამ ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. საფრენოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ გარი არმავირის საფრენოსნო სასწავლებელში შევიდა. ჩქარობდა, ისწრაფოდა ფრონტისკენ, ოცნებობდა სამშობლოს გამოსდგომოდა, მაგრამ საჭირო იყო სწავლა, სამხედრო პილოტის ოსტატობის დაუფლება. ვადამდე დაამთავრა საფრენოსნო სასწავლებელი და 1942 წლის ბოლოს მოქმედ არმიაში — 152-ე გვარდიულ გამანადგურებელ ავიაპოლკში გაამწესეს. ამ პოლკთან ერთად გაიარა ომის მძიმე და გრძელი გზა ბერლინამდე.

შემონახულია ომისდროინდელი და ომისშემდგომი პერიოდის ძველი, გაყვითლებული გაზეთები. აი, რა ეწერა ერთ-ერთ მათგანში ქართველ სამხედრო მფრინავ გარი მერკვილაძეზე: „ბათუმის კომკავშირის აღზრდილი, ბრწყინვალე სპორტსმენი, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი მოცურავე გარი მერკვილაძე ფრონტზე იყო ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი, რომელმაც თავი ისახელა ბრძოლებში, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის მაიორ ლუგანსკის სამხედრო ნაწილში. ოთხი წელი გმირულად იბრძოდა გ. მერკვილაძე გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბელგოროდი, ხარკოვი, იასი, ლვოვი, სანდომირის პლაცდარმი, კარპატები, პოლონეთი, გერმანია — ასეთია მამაცი მფრინავ-გამანადგურებლის საბრძოლო გზა.




### საბჭოთა არმიის 60 წლისთავის შესახვედრად

გარიმ პირველი გერმანული ფასკუნჯი ბელგოროდის ბრძოლებში ჩამოაგდო, იქვე დაიწვა მისი თვითმფრინავიც, თავად კი პარაშუტით დაეშვა. იგი პირველი გაფრინდა გერმანიის სილეზიის ტერიტორიაზე და მთავარსარდლობას მნიშვნელოვანი ცნობა მოუტანა. შესანიშნავ მამაც მფრინავს არაერთხელ უჩვენებია საჰაერო ბრძოლის წარმართვის ნიმუშები. ერთხელ ოღერსგალმა, მფრინავებთან — ევგენი მეშუტინთან და ვიქტორ უსოვთან ერთად გარი მერკვილაძე ჩაება მტრის „მესერშმიტებთან" ბრძოლაში. საბჭოთა მფრინავებს თვითმფრინავები გადაჰყავდათ ერთი ვირაჟიდან მეორეში, ასრულებდნენ მკვეთრ პიკირებას, გონებამახვილური მანევრის საშუალებით, მოკლე, მძაფრ შეტაკებაში ისე დაწვეს ოთხი „მესერშმიტი", რომ თავად არ განუცდიათ დანაკლისი.

ბრძოლაში მოურიდებელი და უშიშარი მერკვილაძე საოცრად მორიდებული იყო ცხოვრებაში. თავისი საბრძოლო გმირობა მას ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმედ მიაჩნდა, რომლითაც არასოდეს მოუწონებია თავი".

დიახ, სიმამაცის ბევრი მაგალითი გვიჩვენა გ. მერკვილაძემ: შეასრულა 412 გაფრენა, ჩაატარა 107 საჰაერო ბრძოლა, პირადად მან ჩამოაგდო მტრის 15 თვითმფრინავი. აი, მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი ამონაწერი მისი საბრძოლო ბიოგრაფიიდან: „დაზვერვის მიზნით მერკვილაძემ ბევრჯერ შეაღწია მტრის ზურგში და მთავარსარდლობას აცნობა მტრის განლაგების შესახებ. მტრის მაკორექტირებელი აეროსტატის ჩამოგდების გამო 1944 წელს, მარშალ კონევის პირადი შუამდგომლობით, იგი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1945 წელს გარიმ —

(დასასრული მე-2 გვ.).

* * *

**სურათებზე:** გ. მერკვილაძე (მარჯვნივ) და მფრინავი-კოსმონავტი გ. ტიტოვი; გ. მერკვილაძე (ბურთით) რეგბის თამაშის დროს.



## „გამოცდა ბრძოლით"

### ხელბურთი

**რიგაში** 5 დღეს გაგრძელდა ტრადიციული საახალწლო თასის გათამაშება ჭაბუკ ხელბურთელთა გუნდებს შორის. უკრაინის, მოსკოვის, უზბეკეთის, ბელორუსიისა და ლატვიის გუნდებთან ერთად ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მოსწავლეთა (1962-63 წწ. დაბადებული გოგონები და ბიჭები) ნაკრებები. წარმატებით ისპარეზა ბიჭების გუნდმა, რომელმაც შეჯიბრების ბოლო დღეს მოუგო მოსკოველ თანაკლუბელებს — 29:28. ძლიერი კონკურენციის მიუხედავად საქართველოს ნაკრებმა III ადგილი დაიკავა. სუსტად გამოვიდნენ გოგონები, რომლებიც ყველა შეხვედრაში დამარცხდნენ და მხოლოდ ერთი შეხვედრა — ტურნირის მასპინძლებთან — დაამთავრეს ფრედ.

— რიგის ტურნირი, — თქვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარმა მწვრთნელმა ჯ. ნიკურაძემ, — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიგვაჩნია. თუ შარშანდელი საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ბიჭების გუნდი საკმარისადაა შეთამაშებული, ამას ვერ ვიტყვით ხელბურთელ გოგონათა ნაკრებზე, რომელიც ახლა ჩამოყალიბების სტადიაშია. ამას გარდა გუნდს აკლდა სამი ძირითადი მოთამაშე. საპატიო მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდნენ ბათუმელი ი. ნარშია, ხოლო ი. ზოსიმოვა და ი. ბარბაქაძე თბილისის „ბურევესტნიკში" ჩარიცხეს და მონაწილეობენ ქვეყნის ჩემპიონატში ქალთა შორის. რიგაში იმ მიზნით მივდიოდით, რომ ახალგაზრდა გუნდისთვის შესაძლებლობა მიგვეცა შეხვედროდა უფრო გამოცდილ მეტოქეებს. ამ მხრივ ჩვენ კმაყოფილი ვართ ტურნირის შედეგებით: შეხვედრიდან შეხვედრამდე გოგონები შესამჩნევად აუმჯობესებდნენ ტექნიკასა და ტაქტიკას, აჩვენებდნენ შინაარსიან თამაშს, ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის, ცხადი გახდა, თუ რას უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდგომში. წინაა მოსკოვის საკავშირო ტურნირი, ქვეყნის ჭაბუკთა პირველობის ფინალი, თამაშები ვეტერანების პრიზზე თბილისში, სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ვიმედოვნებთ, რომ სეზონის მთავარ თამაშებს — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადას — საქართველოს ნაკრები გუნდები „თავით ფეხამდე შეიარაღებული" შეხვდებიან.

**რ. თეიმურაზოვი.**

რიგა.

## სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა

**შპინდლერუვ მლინი (ჩეხოსლოვაკია), 6 თებერვალი.** მსოფლიოს სტუდენტი ახალგაზრდობის სპორტული დღესასწაული — ზამთრის უნივერსიადა-78 დაიწყო ჩეხოსლოვაკიის ყველაზე დიდი მთიანი მასივის ცენტრში — კრკონოშში.

ამ საკურორტო ქალაქის საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) თეთრი ალმებით მორთულ ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარეს უნივერსიადის მონაწილეებმა. ისინი კოლონებად გაემართნენ შპინდლერუვ მლინის მთავარი სტადიონისკენ, სადაც გაიმართა სტუდენტთა ზამთრის თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენები სრული პროგრამით ისპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენ-სტუდენტთა სახელით აქ გამოვლენ 17 ქალაქის 20 უმაღლესი სასწავლებლის ათლეტები.

„უნივერსიადაზე 22 ქვეყნის წარმომადგენლები ისპარეზებენ, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა სტუდენტთა ზამთრის თამაშების პრესცენტრის ხელმძღვანელმა, ყოფილმა სპორტსმენმა, პრაღის ტელევიზიის სპორტული რედაქციის თანამშრომელმა ოლდრჟიხ ჩერვიუნკამ. — დელეგაციები ერთმანეთისგან განსხვავდება მონაწილეთა რაოდენობის მხრივ. ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ავსტრიის, შვეიცარიის გუნდებში 30 ათლეტზე მეტია, ლიხტენშტეინიდან ორი სპორტსმენი ჩამოვიდა, ხოლო შვეციიდან და აშშ-იდან — თითო-თითო.

მაგრამ უნივერსიადის დღეები მხოლოდ სპორტს როდი დაეთმობა. წინაა ამხანაგური შეხვედრები, ინტერნაციონალური საღამოები, დისკუსიები. (საკდესი).

# ბათუმიდან აფრენილი არწივი

დასასრული

საბჭოთა მფრინავთაგან პირველმა ჩამოაგდო მტრის რეაქტიული თვითმფრინავი, რისთვისაც დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. 1945 წელს მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება“.

სამშობლომ დააფასა უფროსი ლეიტენანტის გ. მერკვილაძის გმირობა, რომელიც ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით, საბრძოლო წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის სამი ორდენით, ალექსანდრე ნეველის ორდენითა და სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, ათობით მედლით (ერთი მათგანი ჩეხოსლოვაკიურია) აღინიშნა.

გ. მერკვილაძე ომისშემდეგაც ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, ხალხს. 1946 წელს იგი გააგზავნეს წითელდროშოვან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში, რომლის დამთავრების მერე მუშაობდა ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილედ, შემდეგ ქვედანაყოფის მეთაურად. გ. მერკვილაძემ გამოავლინა ბრწყინვალე ორგანიზატორისა და მეთაურის ნიჭი.

შემდეგ კვლავ სასწავლებლად მიდის, ამჯერად გენერალური შტაბის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მან მიიღო პოლკოვნიკის წოდება. 1966 წელს ავიაციის გენერალ-მაიორი გახდა და მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1970 წელს მძიმე ავადმყოფობამ იგი საწოლს მიაჯაჭვა და 48 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისში.

სახელოვანი მფრინვის სახელი — „გენერალი მერკვილაძე“ ჰქვია საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ტანკერს, რომლის კაპიტნის მეორე თანაშემწე გარი მერკვილაძის შვილი ოთარია.

* * *

**ამ დღეებში** საბჭოთა შეიარაღებული ძალების 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა რესპუბლიკურ სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექციამ (დირექტორი ი. მეტრეველი), რომელმაც დააწესა გ. მერკვილაძის სახელობის სამახსოვრო თასი და აწყობს საკავშირო ტურნირს წყალბურთში. ტურნირი 9-13 თებერვალს [illegible] აუზში. ასპარეზობაში [illegible] მიიღებენ „ლოკომოტივი“ (ხარკოვი), ბაქოს ნაკრები გუნდი, საქართველოს იუნიორთა და უფროსების ნაკრები გუნდები და თბილისის „ბურევესტნიკი“. თამაშები ორ წრედ ჩატარდება. შემდგომში ტურნირი ტრადიციული გახდება და ყოველწლიურად გაიმართება. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იქნება საკავშირო კატეგორიის არბიტრი, ბათუმელი გ. კალანდაძე, რომელიც ომისწინა წლებში გ. მერკვილაძის მწვრთნელი იყო.

**ხ. ქვათაძე.**

საბჭოთა არმიის 60 წლისთავის შესახვედრად

# ორი მებრძოლი

**ეს იყო** ერთ-ერთი პირველი ომისშემდგომი შეჯიბრება. კაუნასში, საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაზე ათობით გუნდი ჩავიდა. მათ შორის „კრასნოე ზნამიას“ ნაკრები, რომელიც მთლიანად საქართველოს მოთამაშეებისგან შედგებოდა.

ჩვენმა გუნდმა დაამარცხა „ენერგია“ და მაყურებელთა ტაშის ქვეშ მოედნიდან გავიდა. ოვაციები უფრო გაძლიერდა, როცა ადგილობრივმა დიქტორმა გამოაცხადა, რომ საქართველოს გუნდში თამაშობენ ვახტანგ მიქაძე და ვასილი გუტნიკი — დიდი სამამულო ომის მონაწილენი.

...მეოთხედი საუკუნის წინათ დავუმეგობრდი ერთნაირი ბედისა და ერთნაირი ხასიათის ამ შესანიშნავ ადამიანებს.

* * *

**ომამდე** სპორტის რამდენიმე სახეობასთან მეგობრობა, ფიზიკური გამძლეობა, მხარდაჭერის გრძნობა დაეხმარა ვახტანგს მძიმე გამოცდის დღეებს რომ გაუძლო და აქამდე შეინარჩუნა ადამიანის, მებრძოლის, მუშაკის, სპორტსმენისა და ენთუზიასტის საუკეთესო თვისებები.

...მასიური, მძიმე მუშტი აქვს **ვახტანგ მიქაძეს** ეს კარგად მოეხსენება ყველას, ვინც საქართველოს პირველობაზე ომისწინა წლებში შეხვედრია მას. კრივი კრივია, მაგრამ მისი მკლავის ძალა მტერმაც იგემა, როცა ქართველი გოლიათი ფაშისტების გარემოცვას მუშტითა და კონდახით არღვევდა.

ამ ადამიანის მხრებზე გადაიარა დაუსრულებელი ბრძოლის სიმძიმემ: კავკასიის დაცვამ და შეტევამ, ქერჩის ბრძოლებმა, ჯარისკაცის მძიმე შრომამ. რამდენჯერ გამოუყვანია ვახტანგი ყველაზე რთული სიტუაციიდან ფიზიკურ წრთობას, გამძლეობას, რამდენ მეგობარს დახმარებია იგი გაჭირვების ჟამს!

ომის დამთავრებისთანავე დაუბრუნდა ვახტანგი სპორტს და ამ წლების მანძილზე სახელოვანი შრომით ასახელა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივი. აქ სამუდამოდ ინახება საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც გაერთიანების ფიზკულტურელებმა სოცშეჯიბრში მრავალგზის გამარჯვებისთვის მოიპოვეს. ათობით თასი, ვიმპელი, პრიზი და სუვენირი აქვს მოწინავე კოლექტივს. პაწაწინა სპორტული დარბაზიდან აიღო სტარტი აბრეშუმის კომბინატის მრავალმა ფეიქარმა, რომელთაგან ბევრი სპორტის ოსტატი და ჩემპიონი გახდა. მთავარი ისაა, რომ ვარჯიშობდნენ მონდომებით — ჭიდაობაში, კრივში, კალათბურთში, სპორტის სხვა სახეობებში და გახდნენ საწარმოს საუკეთესო მშრომელები, კოლექტივის პატრიოტები, მისი აქტივი და დასაყრდენი.

გავიდა წლები. საბჭოთა არმიის თანატოლი ვახტანგი სულაც არ გრძნობს 60 წლის სიმძიმეს, უყვარს კალათში ბურთის ჩაგდება, მაგიდის ჩოგბურთის თამაში, ტურისტული ლაშქრობა...

და კიდევ, უყვარს შინ მეგობრებთან ჯდომა და იმ ყუთის თვალიერება, სადაც ჯილდოები აქვს შენახული. ისინი კი ცოტა როდია — ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, 10 მედალი. აქვეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი, სპორტსაზოგადოებების — „კრასნოე ზნამიას“ და „განთიადის“ საპატიო ნიშნები, უამრავი სიგელები.

* * *

**...ბიჭუნა** ბათუმში გაიზარდა. როგორც ბევრი თანატოლი, ისიც ცურავდა, ყვინთავდა, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს... 16 წლისა აჭარის ნაკრების წევრი გახდა სპორტის ორ სახეობაში. შემდეგ ტყავის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ სპორტისადმი ინტერესი არც აქ დაუკარგავს.

მაგრამ როგორ გამოადგა მშობლიური კავკასიის დამცველს სერჟანტ **ვასილი გუტნიკს** ფიზიკური წრთობა! მის თავზე გადაიარა ომის მძიმე დღეებმა — მძიმე ბრძოლები სადონთან, პირველი ჭრილობა...

1943 წელი — მესანგრის ახალი გამოცდა, დაზვერვა, დანაღმული მინდვრების გავლა, მუცელზე ხოხვით მრავალი კილომეტრის დაფარვა, ხიდების აფეთქება.

მხოლოდ ზღვისპირას აღზრდილ ადამიანს შეეძლო მდინარე ნარევიქილის ყინულივით ცივი წყლის გადაცურვა, სასწაულით რომ იხსნა გერმანელთა ტყვეობისაგან...

აი, ჩვენი თანამემამულის საბრძოლო გზა — ხარკოვი — ლომჟა, პრინცლაუ — დანციგი — შტეტინი — პარხიმი — მდინარე ელბა. ათასობით ჯარისკაცული მძიმე კილომეტრები, კიდევ ერთი ჭრილობა გროდნოსთან და, საბოლოოდ — გამარჯვება!

მშობლიურ ტყავის ქარხანას დაუბრუნდა დიდების ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, მედლებით... დაიწყო მუშაობა და კვლავ სპორტთან აღადგინა მეგობრობა: აირჩიეს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ. კალათბურთელთა გუნდებს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდა, ხშირად თვითონაც თამაშობდა.

ახლა ვ. გუტნიკი, დიდად გამოცდილი სპორტული მუშაკი, „განთიადის“ აჭარის საბჭოს ინსტრუქტორია. იგი დაჯილდოებულია „ფიზკულტურის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, არის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„განთიადში“ თავდადებით შრომობენ და ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავს ყოფილი ფრონტელები, ომის ვეტერანები — ვ. ნიშნიანიძე, ი. რუხაძე, რ. ქებაძე, ა. ტიმოფეევი, ვ. გედევანიშვილი, გ. დვალი, ვ. კრიუჩკოვი და სხვები. ვუსურვებთ მათ ხანგრძლივ სპორტულ ცხოვრებას, ახალ-ახალ წარმატებებს.

**ბ. კოვალიოვი,**
**„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს აგიტაციისა და პროპაგანდის სექციის თავმჯდომარე.**



*თბილისელი* მოცურავეები განებივრებულნი არ არიან საქალაქო შეჯიბრებებით. ერთ დროს კი ძალიან პოპულარული იყო „ღია სტარტი“, „ოქროს თევზი“, სამატჩო შეხვედრები და სხვა ასპარეზობები.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს მოცურავეთა ნაკრების ძირითად ბირთვს თბილისელები შეადგენენ. აი, ამიტომაც სჭირდებათ მათ შესაფერისი ყურადღება. თბილისელ მოცურავეებს შეჯიბრებები უნდათ და სულმოუთქმელად ელიან ნებისმიერ ასპარეზობას, სადაც განისაზღვრება მათი მომზადების დონე და შესაძლებლობები ნაკრებში მოსახვედრად.

თბილისელი მოცურავეები რომ მოუთმენლად ელიან შეჯიბრებებს, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა საქალაქო ასპარეზობამ, რომელიც ვაკის საცურაო აუზში ჩატარდა.

ყოველი გუნდი ორი ასაკობრივი ჯგუფით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული — თითოეულში 16-16 კაცი. ერთ ჯგუფში უნდა ყოფილიყვნენ უფროსი ასაკის (1961-62 წლებში და უფრო ადრე დაბადებულნი), ხოლო მეორეში უმცროსი ასაკის (1963-64 წლებში და უფრო გვიან დაბადებულნი) მოცურავეები.

შეჯიბრებაში სრული გუნდებით მხოლოდ დინამოელები და განთიადელები ჩაებნენ. ბურევესტნიკელებს მხოლოდ უფროსი ასაკის მოცურავეები ჰყავდათ და ისიც ქალთა გარეშე.

ბევრმა სპორტსაზოგადოებამ თუ უწყებამ განაცხადებში ისეთი მოცურავეები წარადგინა, რომლებიც საერთოდ არ გამოსულან სტარტზე. ბურევესტნიკელებმა, მაგალითად, განაცხადში ყველაზე ცოტა მოცურავე დაასახელეს, ხოლო სტარტზე ყველაზე ბევრი (18) სწორედ მათგან არ გამოვიდა. განთიადელთაგან შეჯიბრებას 15 კაცმა აარიდა თავი, დინამოელთაგან — 13, ლოკომოტივიდან და განათლების განყოფილებიდან 9-9 მოცურავემ.

ყოველივე ეს მეტყველებს ან მოცურავეთა უდისციპლინობაზე, ან მწვრთნელთა არაორგანიზებულობაზე.

მსაჯთა კოლეგიამ თავის ამოცანებს კარგად გაართვა თავი. კარგად, და არა ფრიადზე. საქმე იმაშია, რომ ბევრი საკავშირო კატეგორიის მსაჯი უარს ამბობს საქალაქო შეჯიბრებების მომსახურებაზე. სამაგიეროდ დიდი ხალისით მიისწრაფვიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამართულ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებზე. ასეთი გასტროლების მოყვარული მსაჯები თავს იმით იმართლებენ, რომ ძირითადი სამუშაოთი ვართ დაკავებულნიო და თუ ეს ასეა, მაშ როგორღა ახერხებენ სხვა რესპუბლიკებში მსაჯობას? დროა ასეთ ფაქტებს ბოლო მოეღოს.

საქალაქო შეჯიბრების მსაჯობას მწვრთნელებიც არიდებენ თავს. ისინი თავს იმით იმართლებენ, აქაოდა ჩვენს აღსაზრდელებს უნდა ვადევნოთ თვალყური. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქალაქო შეჯიბრებამ მაინც კარგად ჩაიარა. ეს შეჯიბრება, რომელიც მოსწავლეთა და საკავშირო სპარტაკიადისთვის სამზადისის ნიშნით ჩატარდა, ფაქტიურად იყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი. ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ მოცურავეები სწორი მიმართულებით ვარჯიშობენ. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ამ შეჯიბრების შედეგები აღემატება შარშანდელი ანალოგიური ასპარეზობის მაჩვენებლებს. ამასთან, თითქმის ყველა მოცურავემ პირად რეკორდს გადააჭარბა. მიუხედავად შედეგების საერთო

# იმედის მომცემი სტარტები

● ცურვა

ალმავლობისა, კვლავინდებურად ჩამორჩებიან ბატერფლაითა და გულაღმა მოცურავე ბიჭები და ვაჟები, აგრეთვე ქალები.

მათ შორის, ვისი წარმატებაც გვახარებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ კროლით მოცურავე ქალები და გოგონები. ესენი არიან: ნ. ზალდასტანიშვილი, ნ. დანელიშვილი, მ. მაღრაძე, ი. აზმაიფარაშვილი და ს. სოვდაგრიშვილი.

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ბრასისტებზეც. ამ სახეობაში მუდამ გვყავდა სახელგანთქმული მოცურავეები, მაგრამ სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში მათი შედეგები ერთობ უფერული გახდა. ამ შეჯიბრებაში იმედის მომცემად გამოჩნდა ბრასისტთა ჯგუფი — გ. სერიოჟინი, მ. კეკელია და სხვა. სწორი წვრთნის პირობებში ისინი უეჭველად აიმაღლებენ შედეგებს იმ დონემდე, რომელიც საჭირო იქნება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისათვის.

**ლ. იოაკიმიდი,**
**საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:**

**უმცროსი ასაკის გოგონები.** ნ. ზალდასტანიშვილი („დინამო“) თავისუფალი სტილით 100 მ. — 1.04,7, კომპლექსური ცურვა 200 მ — 2.41,2, ი. კუჩეროვა („განთიადი“) — 3.04,5; ი. აზმაიფარაშვილი („შრომითი რეზერვები“) — თავისუფალი სტილით 100 მ — 1.14,1; მ. დანელიშვილი („დინამო“) თავისუფალი სტილით 200, 400 და 800 მ — შესაბამისად — 2.18,2, 4.53,6 და 10.23,8; მ. ციბულსკაია („განთიადი“) — გულაღმა 100 და 200 მ — 1.15,7 და 2.41,2; მ. ხარდინა („განთიადი“) ბრასით 100 მ. — 1.26,4, კომბინირებული ესტაფეტა — „განთიადი“ — 5.10,6.

**უფროსი ასაკის გოგონები.** ი. კოროტკოვა („დინამო“) — თავისუფალი სტილით 100 მ. და ბატერფლაით 100 მ — 1.14,1; ე. ეენიკოვა („დინამო“) — ბრასით 100 და 200 მ — 1.24,9 და 2.56,3; მ. პოტაპოვა („დინამო“) თავისუფალი სტილით 200 და 400 მ. 2.20,7 და 5.00,6; მ. კუჭაიძე („განთიადი“) — გულაღმა 100 და 200 მ — 1.14,5 და 2.36,4; ს. სოვდაგრიშვილი („განთიადი“) — კომპლექსური ცურვა 200 მ — 2.41,8; ნ. ბახტაძე („დინამო“) — თავისუფალი სტილით 800 მ — 10.33,8; ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით — „დინამო“ — 4.31,1; კომბინირებული ესტაფეტა — 5.08,0.

**უმცროსი ასაკის ბიჭები.** ვ. სტრუჩალინი („შრომითი რეზერვები“) — თავისუფალი სტილით 100 და 200 მ — 59,1 და 2.07,0; გ. სერიოჟინი („დინამო“) — ბრასით 100 და 200 მ — 1.14,5 და 2.39,8; ა. ჩაჩიბაია („დინამო“) — ბატერფლაით 100 მ — 1.05,7 და კომპლექსური ცურვა 200 მ — 2.24,7; პ. ერემაძე („განთიადი“) — გულაღმა 100 და 200 მ. — 1.08,7 და 2.24,8; ხ. ცხვარაშვილი („ლოკომოტივი“) — თავისუფალი სტილით 400 და 1500 მ — 4.30,7 და 18.01,8; ესტაფეტა 4×100 მ. თავისუფალი სტილით „დინამო“ — 4.38,1; ესტაფეტა 4×200 მ. თავისუფალი სტილით „დინამო“ — 9.14,3.

**უფროსი ასაკის ბიჭები და ვაჟები.** ა. შირინკინი („დინამო“) — თავისუფალი სტილით 100, 200, 400 და 1500 მ. შესაბამისად — 58,1, 2.04,1, 4.25,2 და 17.54,8; ა. ივლევი („ბურევესტნიკი“) — ბრასით 100 და 200 მ — 1.12,6 და 2.38,5. გ. გოდერძიშვილი („ბურევესტნიკი“) — ბატერფლაით 100 მ — 1.01,8; გ. ჩერნეგა („ბურევესტნიკი“) — გულაღმა 100 და 200 მ 1.08,0 და 2.27,8; პ. ჯიბლაძე („განთიადი“) — კომპლექსური ცურვა 200 მ. — 2.27,2; ესტაფეტა 4×200 მ — „დინამო“ — 9.02,1; კომბინირებული ესტაფეტა — „ბურევესტნიკი“ — 4.25,1.

**გუნდური ადგილები:** I — „დინამო“ — 1246 ქულა, II — „განთიადი“ — 939 ქ. III — „შრომითი რეზერვები“ — 578 ქ. IV — „ლოკომოტივი“ — 285 ქ. V — „ბურევესტნიკი“ — 250 ქ. VI — განათლების განყოფილება — 232 ქ.

* * *

**სურათებზე:** ზემოთ (მარცხნიდან) ა. ჩაჩიბაია, ვ. ეერენკოვა და ა. შირინკინი; ქვემოთ — ი. კოროტკოვა; ნ. ზალდასტანიშვილი; ს. სოვდაგრიშვილი.

**მ. გაბუნიას ფოტოები.**







## 9 თებერვალს

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართება რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციის პლენუმი.**

დასაწყისი 11 ს.

# ჭადრაკი

## ნახევარფინალები დაიწყო

როგორც ყოველთვის, საქართველოს ვაჟთა პირველობას ამჯერადაც ნახევარფინალური ტურნირები უსწრებს წინ. თითოეული შეჯიბრებიდან ფინალში თამაშის უფლებას I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### გეგეჭკორიდან...

ნახევარფინალის საზეიმო გახსნაში რაიონის ფართო საზოგადოებრიობამ მიიღო მონაწილეობა. ფინალის საგზურებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ: ოსტატობის კანდიდატები რ. კაპანაძე, გ. მაჭარაშვილი (ორივე — თბილისი), მ. ქიპაშვილი (კასპი), ზ. ხეცურიანი, გ. გიორგაძე (ორივე — ქუთაისი), ჟ. მზარელუა (ზუგდიდი) და სხვები, სულ — 16 მოჭადრაკე.

გათამაშებული 4 ტურის შემდეგ ბევრ მონაწილეს ერთი ან ორი გამოტოვებული პარტია აქვს. ჯერჯერობით ლიდერობენ ხეცურიანი — 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, კაპანაძე, მზარელუა — 2-2 (2-2), გიორგაძე — 2 (1).

### სოხუმიდან...

აქ მიმდინარე ნახევარფინალში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 16 მონაწილეს შორის არიან: ოსტატი ა. შახტახტინსკი (სოხუმი), ოსტატობის კანდიდატები გ. კალატოზიშვილი, ნ. გელენავა (ორივე — თბილისი), რ. დადიანი, გ. ჯანაშია (ორივე — ზუგდიდი), ლ. ნეურონოვი (ბათუმი).

შეჯიბრების მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი რ. კაკიაშვილი (სოხუმი).

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ჯანაშია — 3 ქულა, კალატოზიშვილი — 2,5, დადიანი — 2 და ნეურონოვი — 1,5 (1).

### გორიდან...

გორის პიონერთა სახლში მიმდინარე ნახევარფინალში ფინალის საგზურისთვის იბრძვის თბილისის, ცხინვალის, გორის, ახალციხის, სიღნაღის, რუსთავის, ახმეტის, ხაშურის, მცხეთისა და გარდაბნის 16 წარმომადგენელი.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ე. პაპაძე (მცხეთა), ნ. ტერაშვილი (რუსთავი) — 3-3 ქულა, გ. მუკნიაშვილი (გორი) და ი. მანაშეროვი (ხაშური) — 2-2.

## დარბაზში, როგორც სტადიონზე

შევიტყობინებოდით, რომ ლენინგრადის დარბაზში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ა. აქსინინმა 100 მეტრზე რბენაში ზამთრის საკავშირო მიღწევა დაამყარა — 10,2.

იქვე ქალთა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენმა მ. სიდოროვამ 100 მეტრი 11,4 წამში დაფარა. ბირთვის კვრაში მსოფლიო ჩემპიონის ა. ბარიშნიკოვისთვის წლევანდელი პირველი სტარტი საკმაოდ მაღალი შედეგით დამთავრდა — 20,18. ა. პისკულინმა სამხტომში 16,40 აჩვენა.

მინსკში გამართულ იუნიორთა საკავშირო ტურნირში თავი გამოიჩინეს მოსკოველებმა: 18 წლის ა. შლიაპნიკოვმა 60 მეტრი 6,48 წამში დაფარა. ეს ამერიკელი მაკ-ტირის მსოფლიო მიღწევაზე უკეთესია. წლეულს ევროპის დარბაზებში 400 მეტრი 18 წლის მოსკოველ სტუდენტ ნ. ჩერნეცკიზე უფრო სწრაფად (47,8) არავის გაურბენია.

მოსკოვში ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში, სადაც დედაქალაქის ზამთრის ღია პირველობა მიმდინარეობს, ე. პერევერზნევმა 110 მეტრზე დაბრკოლებით რბენში 13,8 აჩვენა.

# უძლიერესნი კანადაში

„მონრეალ კანადიენსის“ სავარჯიშოდ გამოსვლამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, მაგრამ თავისი კლუბის საპარადო ფორმაში გამოწყობილი და ყვანჯით შეიარაღებული გი ლაფლერი უკვე სარბიელზე იყო. ეს გამოჩენილი ჰოკეისტი წინა საღამოს კანადის 1977 წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოაცხადეს და ახლა უსიტყვოდ ასრულებდა ფოტოგრაფების სურვილს.

სურათის გადაღება დამთავრდა. ლაფლერი გასახდელში დაბრუნდა და შემდეგ საწვრთნელ ტანსაცმელში გამოწყობილი ყინულზე გამოვიდა, სადაც თავი მოეყარა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის ყველა წევრს. დაშავებული ჰოკეისტებიც კი „ფორუმის“ შენობაში სპეციალურად მოწყობილ კაბინეტში იყვნენ. მემასაჟის ოთახი სავსეა დიდი რაოდენობით სხვადასხვა დასაზელი საშუალებებით, რომლებმაც უმოკლეს დროში უნდა გაუყუჩოს სპორტსმენს ტკივილი, მოუშუშოს ტრავმა. გუნდის ექიმი ყოველდღიურად მოახსენებს გუნდის გენერალურ დირექტორს ს. პოლაკსა და მწვრთნელს ს. ბოუმენს თითოეული სპორტსმენის ჯანმრთელობის შესახებ, რის შემდეგაც იძლევა მათი სავარჯიშო დატვირთვის რეკომენდაციას.

სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ანატოლი ტარასოვთან ერთად ვაკვირდებოდი „მონრეალის“ ვარჯიშს. ტარასოვმა მაშინვე გაშალა ბლოკნოტი და მოემზადა დაწვრილებით ჩაეწერა წვრთნის რეჟიმი. კანადელი ჰოკეისტების ვარჯიში საბჭოთა მწვრთნელებისთვის დიდი ხანია საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, მაგრამ ცუდია ის სპეციალისტი, რომელიც ჩამორჩება დროს, სიახლეს. მოსკოვში ტარასოვი ესწრებოდა „კვებეკ ნორდიქსის“ ვარჯიშებს.., და მან სასტიკად გააკრიტიკა როგორც თვით ჰოკეისტები, ისე ხელმძღვანელები.

„ქვის საუკუნის ვარჯიშია, — თქვა მაშინ ტარასოვმა. — ისინი კი არ მუშაობენ, არამედ დრო გაყავთ ყინულზე. ამიტომ ეს გუნდი ევროპულ კლუბებთან დამარცხებისთვისაა განწირული“. მაგრამ „მონრეალის“ ვარჯიშის პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა, რომ ჩვენს წინ იყო სულ სხვა, ყველაზე თანამედროვე კოლექტივი, სადაც წვრთნაც ინტენსიურად, „საქმისგან“ თავის დაძვრენის გარეშე მიმდინარეობს.

მოთამაშეები თავდაუზოგავად შრომობდნენ. სკოტ ბოუმენი ყინულის მოედნის ცენტრში დრო და დრო თავს უყრიდა რგოლს (ვარჯიში სწორედ რგოლების მიხედვით ტარდება) და დავალებებს აძლევდა. თავად ლურჯ სავარჯიშო კოსტიუმში გამოწყობილი კუთხეში გასრიალდებოდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს. ვარჯიშები დიდი სისწრაფით სრულდებოდა. ხან ბოუმენი, ხან მისი ასისტენტი შეძახილებით აფხიზლებდნენ შეფერხებულ მოთამაშეს. თავად უვლებდნენ შაიბას ჰოკეისტებს, ძლივს რომ სუნთქავდნენ ძნელი ვარჯიშის შემდეგ.

— ეს გუნდი და მისი მწვრთნელი დღეს ყველაზე სახიფათოა ევროპული ჰოკეისთვის, — აღნიშნა ტარასოვმა. — ჩვენ დამშვიდებული ვიქნებოდით მსოფლიო ჩემპიონატის ბედის გამო — პირველი ნაკრების ტიტული ევროპაში დარჩებოდა, კანადის ყველა გუნდი „კვებეკივით“ რომ ვარჯიშობდეს. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელები თავის კალენდარში შესვენებას გააკეთებენ, მაშინ სკოტ ბოუმენს შესაძლებლობა ექნება თავისი კლუბის ბაზაზე საკუთარი სისტემით მოამზადოს „ნეკერჩხლის ფოთლის“ ნაკრები. და ეს იქნება სწრაფი, ჭკვიანი გუნდი, რომლის ჰოკეისტები ფლობენ მაღალ ტექნიკას, თამაშის კულტურას. აი, ამ გუნდის დამარცხება მართლაც შეუძლებელი იქნებოდა.

...ვარჯიში გრძელდება — კენ დრაიდენი, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უცვლელად არის პროფესიული ჰოკეის საუკეთესო მეკარეთა შორის, ცდილობდა მოეგერიებინა გაორკეცებული დარტყმები, როცა შაიბები წამის შუალედებით ერთი მეორეზე „მოფრინავდნენ“. მის კარს ურტყამდნენ სხვადასხვა მდგომარეობიდან, სხვადასხვა მანძილიდან.

მწვრთნელის ასისტენტები (ისინი რამდენიმეა) მოაჯირის მიღმა იდგნენ და მზად იყვნენ შეესრულებინათ მწვრთნელის ნებისმიერი მითითება და თვით სპორტსმენთა სურვილი.

— ვარჯიშისთვის ბრწყინვალე პირობების შექმნით, — აღნიშნა ტარასოვმა, კლუბის ხელმძღვანელობას და მწვრთნელებს უადვილდებათ ჰოკეისტებისგან მოითხოვონ დავალების სრულფასოვნად შესრულება. მოთამაშე ვერ მოიმიზეზებს, რომ ბლაგვი ციგურების გამო ცუდად სრიალებს — ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს. ზოგიერთ ჩვენს გუნდშიც დამყარებულია მსგავსი წესი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ტარასოვმა გადაშალა თავისი ბლოკნოტი და შეადარა ციფრები. „კვებეკი“ ასე ვარჯიშობდა: 10 წამი ვარჯიში — 120 წამი პაუზა. „მონრეალი“ კი 10 წამის მუშაობის შემდეგ მხოლოდ 40 წამს ისვენებდა.

— და მაინც, მათ ძალუძთ უფრო ინტენსიური ვარჯიში. ამ კლუბში თამაშობენ ექსტრა-კლასის ჰოკეისტები. მწვრთნელს შეუძლია მოედანზე გაგზავნოს ხუთეულები შემხვედრი მიმართულებით და ისინი ისე ივარჯიშებენ, რომ ერთმანეთს არ დაეჯახებიან. სამწუხაროდ, ასეთი გუნდები მსოფლიოში ძალიან ცოტაა.

ვარჯიში დამთავრდა „თამაშით“, რომელსაც სჯიდა ბოუმენი. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს ყოველი რგოლის მოქმედებას, ხანდახან აძლევდა მათ ტაქტიკურ ამოცანას და ითხოვდა, რომ გოლი გაეტანათ მეტოქის დაცვის ზონაში სწორედ სამი გადაცემის შემდეგ — არც მეტი, არც ნაკლები.

როგორც იქნა ბოუმენმა თამაში დაამთავრა და იმ ტრიბუნასთან მისრიალდა, სადაც ტარასოვი იჯდა. მან იცოდა, რომ მის მუშაობას თვალყურს ადევნებდა ჩვენი სპეციალისტი.

მწვრთნელები, თუ ისინი თავისი საქმის ერთგულნი არიან, თავს ვერ შეიკავებენ და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ იქვე იწყებენ საუბარს თავიანთ პრობლემებზე, განიხილავენ სიახლეებს, ერთმანეთს უზიარებენ აზრებსა და შთაბეჭდილებებს.

დაახლოებით საათ-ნახევარი არჩევდნენ ბოუმენი და ტარასოვი თეორიულ საკითხებს, ამასთან ხშირად ახსენებდნენ სახელებს — ლაფლერი, ხარლამოვი, ლემერი, პეტროვი, ლაპოინტი, მიხაილოვი, ვასილიევი, ციგანკოვი, რობინსონი, ორი, მაჰოვლიჩი, კურნუაიე, ლარუში.

როგორაა აგებული ლაფლერის თამაში, რომლის წყალობითაც იგი მაღალ შედეგიანობას აღწევს. მასთან ერთად თამაშობს ოთხი ჰოკეისტი, რომლებიც, ჩვეულებრივ, წარმატებით იცავენ კარს, როცა „მონრეალი“ რიცხობრივ უმცირესობაში რჩება. აი, რატომაა რომ იგივე ბოუმენი ამ ფორვარდისგან არ თხოულობს დაცვაში „მუშაობას“ — საკმარისია, რომ იგი დაუბრუნდეს თავისი ზონის ლურჯ ხაზს. ლაფლერი არ უნდა შევიდეს ზონაში — საკმარისია, რომ იგი მზადაა მიიღოს გადაცემა და გაიჭრას წინ. მისი სისწრაფის მცოდნე მეტოქე მცველებს შეეშინდებათ ჩაებან შეტევაში. უკიდურეს შემთხვევაში ერთი დარჩება მის გვერდით, მეორის ყურადღება კი უკან იქნება მიპყრობილი.

— შეძლებენ თუ არა ხარლამოვი ან ფირსოვი ორის დაჯაბნვას? — დაინტერესდა ბოუმენი.

— რა თქმა უნდა, ოღონდ ამისთვის არასტანდარტული მოქმედებაა საჭირო. ბობის უნდა გადასცე შაიბა, მას კი, როგორც ყველა კანადელ ჰოკეისტს, ძალიან უყვარს შაიბით თამაში. გადასცემ მას შაიბას — იგი წამით შეჩერდება, ოდნავ აწევს თავს, რათა შეხედოს, ვის შეიძლება მიაწოდოს შაიბა, აი, მაშინ შეძლებენ ხარლამოვი ან ფირსოვი ცხვირწინ ააცალონ მას შაიბა. მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ მაღალი კლასის ჰოკეისტებს შეუძლიათ. თუ საშუალო მოთამაშე დაუთმობს ორს შაიბას, წართმევას იგი მერე ვერ მოახერხებს.

ბოუმენმა, რომელიც დღეისთვის ჰოკეის ყველაზე დიდ მცოდნედ ითვლება ჩრდილოეთ ამერიკაში, ილაპარაკა თავისი მუშაობის მეთოდებზე. მას მსოფლიოში ბევრი სხვა მწვრთნელისგან განსხვავებით აქვს უშუალოდ „ფორუმში“ თავისი სამუშაო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ვიდეომაგნიტოფონით, სადემონსტრაციო ტაბლოთი და სპორტული იარაღებით. ბოუმენი საკუთარ სპორტულ ფორმაზეც ზრუნავს.

— ვიდეომაგნიტოფონზე ვიწერ „მონრეალ კანადიენსის“ ყოველ მატჩს, — თქვა ბოუმენმა. — ამასთან აუცილებელი არ არის ყველა მოთამაშემ ნახოს ის — ხან ერთ რგოლს ვაჩვენებ, ხან მხოლოდ მე ვუყურებ. ჩემს ვიდეობიბლიოთეკაში არის საბჭოთა ჰოკეისტების მატჩების ვიდეოჩანაწერები. ეს მატჩები განსხვავდებიან ჩვენი ჩვეულებრივი შეხვედრებისგან და ამიტომ დაფიქრებისთვის საზრდოს იძლევიან. ჩემის აზრით, მწვრთნელმა არ უნდა მისდიოს ორი წლის წინანდელ ტაქტიკას — ეს უკვე განვლილის გამეორებაა და სპორტში მას სამწუხარო შედეგებამდე მივყევართ.

...დაცარიელდა კლუბის გასახდელი — მოთამაშეები შინ წავიდნენ — საღამოს 7 საათზე აეროპორტში უნდა შეკრებილიყვნენ, საიდანაც გუნდი მატჩების მორიგი სერიების ჩასატარებლად გაფრინდა.

— შეიძლება, რომ გაფრენის წინ, რომელიმე მოთამაშე მეგობარს შეხვდეს, ისადილოს მასთან და დალიოს? — ვკითხე ბოუმენს.

— შეუძლებელია.

— და მაინც, [illegible] იზამთ?

— ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, მე არ მახსოვს არც ერთი მსგავსი შემთხვევა.

— მაინც...

— „მონრეალ კანადიენსის“ თითოეული ჰოკეისტი უფრთხილდება თავისი კლუბის ღირსებას და ამიტომ ასეთ სიტუაციაში არასდროს აღმოჩნდები.

— კარგი. წარმოვიდგინოთ სხვა სიტუაცია: ვარჯიშის დროს ერთ-ერთი ჰოკეისტი მონდომებულად არ ვარჯიშობს...

— მე მას ვარჯიშის რომელიმე მომენტში ცალკე ვეტყვი, რომ იმუშაოს.

— მაგრამ ის ჯიუტია და კვლავ უხეიროდ დასრიალებს...

— ეს არ მოხდება. ჩემს პრაქტიკაში არ ყოფილა ასეთი რამ.

„მონრეალ კანადიენსის“ ჰოკეისტები გამოირჩევიან კარგი დისციპლინით, პასუხისმგებლობით და ამიტომ ისინი მწვრთნელთა და კლუბის ხელმძღვანელთა ყველა მოთხოვნას ასრულებენ.

დავინტერესდი მონრეალელთა მწვრთნელის მომავალი გეგმებით.

— წლევანდელი სეზონის შემდეგ ალბათ უნივერსიტეტში გადავალ. იქ წვრთნის ორგანიზაციის ექსპერიმენტებს ჩავატარებ თამაშების სხვადასხვა ვარიანტით. უბრალოდ, სიმართლე რომ ვთქვა, დავიღალე ამდენი მატჩებით, და რაც მთავარია, ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონატში ნათამაშები შეხვედრები თავისი შინაარსით არ მაკმაყოფილებს. მე ვერ ვიტან ისეთ ჰოკეის, როგორსაც თამაშობს „ფილადელფია ფლაიერსი“ — უხეში, არაადამიანური თამაში, რომელიც „ყინულიდან მეტოქეს ჰოსპიტალში გაგზავნის“ ტაქტიკაზეა აგებული. გული მტკივა, როცა ასეთ თამაშს ვხედავ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე თამაშობს ბევრი კლუბი.

...მონრეალელებმა მოიგეს შემდგომი გასვლითი მატჩი, შემდეგ კიდევ ერთი, ბოუმენი თამაშის სხვადასხვა ვარიანტს იყენებდა. მისი ჰოკეისტები იგებდნენ სისწრაფისა და ჭკვიანური კომბინაციების წყალობით. შემდეგ „მონრეალ კანადიენსი“ შეხვდა „სპარტაკს“. ბოუმენი მთელი სერიოზულობით მოეკიდა ამ შეხვედრას. მან საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა და აიძულა გუნდი მთელი ძალით ეთამაშა.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელებმა შემთხვევით კი არ შეახვედრეს სპარტაკელები მონრეალელებს, თუმცა იცოდნენ, რომ დღევანდელი „სპარტაკი“ არც თუ ისე ძლიერი იყო — რომ მის საუკეთესო მოთამაშეებს არ შეეძლოთ მთელი ძალით თამაში, რომ გუნდს აკლდა რამდენიმე ჰოკეისტი, რომლებიც ნაკრებში იყვნენ მიწვეული.

მათ იციან, რომ კლუბი, რომელსაც შეუძლია კანადური ჰოკეის სახელის დაცვა, რომელსაც ძალუძს ითამაშოს ლამაზი მატჩი და მაყურებლებს მიანიჭოს ჭეშმარიტი სიამოვნება — „მონრეალ კანადიენსია“.

**ვ. კუკუშკინი.**
საკდესის სპეც. კორ.
მონრეალი — მოსკოვი.

* * *

**სურათებზე:** საბჭოთა დედაქალაქში სტუმრად მყოფი ცნობილი კანადელი ჰოკეისტი ბობი ორი ავტოგრაფს აძლევს თაყვანისმცემლებს; ფ. მაჰოვლიჩი და ვ. ტრეტიაკი.





„სპორტლოტოს“ მრავალი მოყვარული მუდმივად მონაწილეობს ამ წარმტაცი თამაშის ყოველ ტირაჟში. თითეულს ბარათების შევსების თავისი პრინციპები და სისტემები აქვს. და, რა თქმა უნდა, „სპორტლოტო“ უხვად აჯილდოვებს მათ ამ ერთგულებისთვის. არცთუ იშვიათად მოთამაშენი ერთნაირი ციფრებით ავსებენ რამდენიმე ბარათს და შედეგად მათი მფლობელები დიდ თანხას იგებენ.

## რეკორდსმენის რეკორდი „სპორტლოტო“

ასე მოუვიდა „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ ავტოტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ბაზის გამგეს, რუსთაველ ა. გოგოლაურს. ალექსანდრე ხპორტისა და „სპორტლოტოს“ დიდი მოყვარულია, თავად ყოფილი სპორტსმენი, საქართველოს რეკორდსმენი ძალოსნობაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი. გამოდიოდა მძიმე წონაში და რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრი იყო.

„შაბათის სპორტლოტოს“ წინასაახალწლო, 53-ე ტირაჟში გოგოლაურმა მოიგო 71.325 მანეთი. მომგებიანი აღმოჩნდა 15 „ხუთიანი“ — 4710 მანეთი თვითეული, 135 „სამიანი“ — 5 მანეთი თვითეული.

მოგების განაღდებისას გოგოლაურმა თქვა, რომ როგორც ყოფილ სპორტსმენს, სიამოვნებს სპორტულ ლატარიაში მონაწილეობა — მოგებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხომ ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და განვითარებას ხმარდება. არანაკლებ სასიამოვნოა რეკორდსმენის როლში ყოფნაც. ასეთი მოგება ერთ ტირაჟში ხომ ამ პოპულარული თამაშის არცერთ მონაწილეს არ რგებია. რუსთაველი ა. გოგოლაურის მოგება ხომ სარეკორდოა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ სსრ კავშირში.

**ნ. პორტნოი,**
„საქსპორტლოტოს“ უფროსის მოადგილე.





# გვიან საღამომდე...

დილიდან გვიან საღამომდე დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭული ცეროდენა ტანმოვარჯიშეთა მასპინძელია. ჯანმრთელობას გაიკაჟებენ, ოსტატობას აიმაღლებენ, მერე კი, სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში ცდიან ძალებს — მშობლიურ სკოლას ასახელებენ, გააგრძელებენ თავიანთი უფროსი თანასკოლელების პაატა შამუგიას, გურამ ბახიას სახელოვან ტრადიციებს.

„დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებულ სკოლაში (დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი თ. ასათიანი) მწვრთნელების ზ. მარიდაშვილის, მ. კრასილნიკოვას, ა. კასრაძისა და ნ. ბიკოვას ხელმძღვანელობით იმედისმომცემი, პერსპექტიული ნორჩი ტანმოვარჯიშეების დიდი ჯგუფი ოსტატდება. ესენი არიან: გოჩა მელაძე, ალეკო რიჟოვი, სოსო ბახია, გია ტატანაშვილი, რამაზ დოლენჯაშვილი, დიანა რევიშვილი, მაია გვარამაძე, ია ხოფერია, ვიკა ხოდირევა, მთვარისა დვალიშვილი, ირინა ხეტიევა.

რადგან „დინამოს“ ტანვარჯიშის დარბაზი დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სკოლის დირექციამ გამოსავალი გამონახა — გარკვეული მომზადების შემდეგ ბავშვები გადაჰყავთ რესპუბლიკის უმაღლესი დაოსტატების სკოლაში, შარშან კი სასწავლებლის 13 ტანმოვარჯიშე გადაყვანილ იქნა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის სპეციალიზებულ სპორტულ კლასში, სადაც ბავშვებს ორჯერადი ვარჯიშის საშუალება მიეცათ.

**გ. დოლენჯაშვილი.**

* * *

სურათებზე: მარცხნივ — მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნანა ბიკოვა თავის მოწაფეებთან — ია ხოფერიასა და ვიკა ხოდირევასთან ერთად; მწვრთნელი ზ. მარიდაშვილი ალეკო რიჟოვთან.

ავტორის ფოტოები.

# „გაუჩიტო“ ელოდება...

**ფეხბურთელის** ფორმაში გამოწყობილი პატარა მხიარული მწყემსი — „გაუჩიტო“ ამშვენებს არგენტინის იმ 5 ქალაქის ქუჩებს, სადაც 1-იდან 25 ივნისამდე ჩატარდება XI მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. გაუჩიტომ შეცვალა ჩემპიონატების სიმბოლოები — ლომის ბოკვერი ვილი (ინგლისი, 1966), ხუანიტო (მექსიკა, 1970), ტიპი და ტაპი (გფრ, 1974) და ახლა მისი გამოსახულებით იწყება მსოფლიოს სპორტულ პრესაში მრავალრიცხოვანი ფეხბურთის კომენტარები.

22 თებერვალს მიუნხენში შედგება გფრ-ისა და ინგლისის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელზედაც დასწრებას აპირებს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ნ. სიმონიანი (8 მარტს მაინის ფრანკფურტში საბჭოთა ფეხბურთელები ჩაატარებენ მატჩს მსოფლიო ჩემპიონებთან). გფრ-ის ნაკრების მწვრთნელის ჰელმუტ შიონის (რომელმაც განაცხადა, რომ არგენტინის ტურნირის შემდეგ გადადგება) ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა — მიიღებს თუ არა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას ბეკენბაუერი? „ბაიერნის“ ყოფილი კაპიტნის ახალმა კლუბმა — ნიუ იორკის „კოსმოსმა“ გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, რომ ბეკენბაუერს გამოუშვებს მხოლოდ მაისის ბოლოს, შიონს კი ცენტრალური მცველის „გამოცდა“ ამხანაგურ შეხვედრებშიც სურს. „ბეკენბაუერის საკითხი“ საბოლოოდ ინგლისელებთან მატჩის წინ გადაწყდება.

თუ ბეკენბაუერი არ წავა არგენტინაში, მაშინ მსოფლიო ჩემპიონატში არ იასპარეზებს ბოლო 8 წლის მანძილზე ევროპაში საუკეთესოდ აღიარებული 5 ფეხბურთელისგან არც ერთი, თუმცა ისინი დღესაც თამაშობენ: ბეკენბაუერი — „კოსმოსში“, მიულერი — „ბაიერნის“ ცნობილმა თავდამსხმელმა 4 წლის წინათ დაამთავრა გამოსვლა ნაკრების შემადგენლობაში, ბლოხინი და სიმონსენი (დანია) თავის გუნდებთან ერთად ვერ მოხვდნენ პირველობის ფინალში, ხოლო ჰოლანდიელმა კრუიფმა საბოლოოდ გადაწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში.

საინტერესოა, რომ გფრ-ისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩში ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ბურთით. ასეთი ბურთი კი სამია — თეთრი, ჭრელი და... შავი. ისინი საკმაო რაოდენობით გადაეგზავნა ყოველ გუნდს.

ბურთებს აკეთებენ ბრაზილიაში — სანტა-კრუზეს ფაბრიკა „სკორეში“, მას კერავენ 32 ნაწილისგან — სწორი ფორმის ტყავის ნაჭრებისგან. შემდეგ აგზავნიან საფრანგეთში, სადაც ღებავენ, უკეთებენ ოფიციალურ წარწერას, ხოლო ბუენოს-აირესში ფინალისტებს გაუნაწილებენ.

ფინალისტები კი ემზადებიან. ყველა ნაკრებმა გამოაცხადა გეგმა, ყველა მწვრთნელი თავს ევლება თავის გუნდს.

პოლონეთის ნაკრები, რომელმაც გაიბრწყინა წინა მსოფლიო ჩემპიონატში, ახლა იუგოსლავიაში ვარჯიშობს. პოლონელთა გუნდის კაპიტანი დეინა, რომელმაც 93 მატჩი ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში, აპირებს არგენტინაში შევიდეს „100-ანთა კლუბში“, პოლონელები ორ მატჩს ითამაშებენ იუგოსლავიის კლუბებთან, შემდეგ ერთს — კუვეიტში, სადაც გუნდი მიიწვია ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ.

ზაგალო, ერთადერთი მწვრთნელი არ არის, რომელიც შეცვალეს გფრ-ის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. წინა 16 ფინალისტიდან არგენტინაში ჩავა 8, აქედან მხოლოდ ორს ჰყავს უწინდელი მწვრთნელი — შიონი და გეორგ ერიქსონი (შვეცია).

მაგრამ საფეხბურთო სეზონი მარტო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთათვის როდია გახალებული. ევროპის ჩემპიონები — ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფეხბურთელები, გაახალგაზრდავებული შემადგენლობით შეუდგნენ კონტინენტის მომავალი პირველობისთვის მზადებას. დორტმუნდში (გფრ) მათ ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა „ბორუსიასთან“ და წააგეს ანგარიშით 2:6 (0:3). (საქტესი).

## ფეხბურთი

**თებერვლის** შუა რიცხვებში თბილისში 3 საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს იუგოსლავიის ცნობილი პროფესიული საფეხბურთო გუნდი „ოლიმპია“ (ქ. ლიუბლიანა, სლოვენიის რესპუბლიკა).

იუგოსლავიის 1977-78 წლების ჩემპიონატი, როგორც ყოველთვის, 18 გუნდის მონაწილეობით დაიწყო. დეკემბრის პირველ რიცხვებში თამაშები შეწყდა და გამოცხადდა ხანგრძლივი შესვენება გაზაფხულამდე. „ოლიმპია“ სადღეისოდ მე-15 ადგილზეა.

რა შეიძლება ითქვას „ოლიმპიას“ თამაშზე პირველ წრეში? იგი კარგად გამოდიოდა საკუთარ მინდორზე, მაგრამ სრულიად უმწეოდ — სტუმრად. საკმარისია აღინიშნოს, რომ 9 გასვლით მატჩში „ოლიმპიამ“ მხოლოდ 2 ფრეს მიაღწია, დანარჩენები კი წააგო. აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო თავდასხმის თამაში, მთელ რიგ შემთხვევაში მოწოდების სიმაღლეზე არ იდგნენ მცველები და იუგოსლავიაში კარგად ცნობილი მეკარე დალანოვიჩიც.

# ველით ლიუბლიანის „ოლიმპიას“

**ჩვენი სტუმრები**

„ოლიმპიას“ მესვეურებმა სათანადო ნაბიჯები გადადგეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათ მიიჩნიეს, რომ უფროსი მწვრთნელი ბერეიაცი ვერ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას, ამიტომ იგი ჩამოყენებული იქნა მეორე მწვრთნელად, გუნდის სადავეები კი გადაეცა ევროპაში კარგად ცნობილ სპეციალისტს ბრანკო ელზნერს. ელზნერი ადრე ჩინებული ფეხბურთელი იყო, 10 წლის წინ წვრთნიდა „ოლიმპიას“ (იგი ერთვნებით სლოვენი და ქ. ლიუბლიანის მკვიდრია). შემდეგში ელზნერი ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც დიდი წარმატებით მუშაობდა „სვაროვსკი-ვაკერში“ (ინსბრუკი). მისი ხელმძღვანელობით ეს პროვინციული კლუბი ვენის წამყვანი გუნდების ერთ-ერთი მთავარი მეტოქე გახდა. ელზნერის ეს წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი მალე ავსტრიის ნაკრებსაც კი ჩაუყენეს სათავეში.

და აი, ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ოლიმპია“ 5 იანვრიდან შეუდგა ვარჯიშს. ელზნერთან ერთად გუნდში მუშაობს კიდევ 4 მწვრთნელი: ბერეიაცი, სრბუ, იოვიჩევიჩი და როგიჩი.

იანვრის მიწურულსა და თებერვლის დასაწყისში „ოლიმპიამ“ მონაწილეობა მიიღო 2 „ოთხთა ტურნირში“, რომლებიც პორჩსა და რიეკაში გაიმართა პოლონეთის ნაკრების მონაწილეობით. შემდგომი პერიოდისთვის „ოლიმპიამ“ დაგეგმა ტურნე თბილისში, სადაიდანაც დაბრუნების შემდეგ წვრთნას დაასრულებს ქ. კოპარში და იუგოსლავიის ჩემპიონატშიც ჩაებმება.

ელზნერმა განაცხადა, რომ ძნელ პირობებში მიიღო გუნდი, მაგრამ ფეხბურთელები შეუპოვრად ვარჯიშობენ და მწვრთნელსაც იმედი აქვს მდგომარეობის გამოსწორებისა. იგი აპირებს მთელი რიგი ახალი ფეხბურთელების მიღებას სლოვენიის გუნდებიდან, ჯერჯერობით კი „ოლიმპიას“ ერთადერთი ახალი მოთამაშე ჰყავს — 18 წლის მარკ ელზნერი, მწვრთნელის ვაჟი. იუგოსლაველი სპეციალისტები მასზე დიდ იმედს ამყარებენ.

რა შეიძლება ითქვას იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც პირველ წრეში თამაშობდნენ? მათს უმეტესობას ჩვენი გულშემატკივრები იცნობენ. მეკარე დალანოვიჩი წინა სეზონში თითქმის უცვლელად თამაშობდა, ახლა კი მას საკმაოდ ხშირად ცვლის მატოვიჩი. მთელ რიგ მატჩებში მეორე მეკარის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. დაცვაში ძირითადად გამოდიან დოგანჯიჩი, კლამპფერი, პერდუვი და ტომიჩი. მათ ზოგჯერ ცვლიდნენ გამოცდილი მცველები ხრისტოვსკი და ჰაცაბენტი. ახლა, მწვრთნელ ელზნერის განცხადებით, ორივე აპირებს დატოვოს გუნდი. ხრისტოვსკი გადავა მაკედონიის რომელიმე კლუბში, ჰაცაბენტი კი შორეულ ავსტრალიაში მიემგზავრება. პირველი წრის შუაგულში „ოლიმპიაში“ ჩაირიცხა ახალი მცველი ისკრა, რომელიც აქამდე იუგოსლავიის არმიაში იყო. ისკრამ მალე დაიკავა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და მთელი რიგი მატჩები ჩინებულად წარმართა.

შუა ხაზში თამაშობდნენ საკმაოდ ცნობილი ოსტატები სამატოვიჩი, ლალოვიჩი, რადულოვიჩი, კომლენოვიჩი, უფრო იშვიათად — იოვიჩევიჩი, ამერშეკი, ვუიანოვიჩი. თავდასხმაში შეიძლება ორი ოსტატის გამოყოფა. გუნდის სნაიპერს ვოლჩს ყოველთვის ფხიზელი მეურვეობა სჭირდება, ამის მიუხედავად იგი ხშირად ახერხებს გოლის გატანას. კარგადაა ცნობილი გუნდის კაპიტანი, მარცხენა გარემარბი როჟიჩი, რომელიც იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება.

თბილისელთა ახალი შეხვედრები ლიუბლიანის „ოლიმპიასთან“ დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს.

**გ. თორელი.**

# მოსკოვის დინამოელები ემზადებიან

**სოფია, 6 თებერვალი.** მოსკოვის „დინამო“ ემზადება თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩებისთვის ესპანეთის „რეალ-ბეტისთან“ და ბულგარეთში ატარებს ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს.

დინამოელებმა ქ. ნოვა-ზაგორაში დაამარცხეს ადგილობრივი „ზაგორეცი“, რომელიც ბულგარეთის რესპუბლიკური ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში გამოდის — 4:1. 2-2 ბურთი გაიტანეს კაზაჩონოკმა (ორივე — პენალტით) და გერშკოვიჩმა.

ხასკოვოში მოსკოველებმა ითამაშეს „ბ“ კლასის გუნდთან და აქაც გაიმარჯვეს — 3:0. თითო ბურთი გაიტანეს მაქსიმენკოვმა, კაზაჩონოკმა, ერთი ბურთიც ბულგარელებმა საკუთარ კარში მოათავსეს.

# ახალი სეზონის წინ

**სოჭი, 6 თებერვალი.** სსრ კავშირის ჩემპიონებმა — კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წინასასეზონო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს პოლონეთის კლუბ „არკასთან“ (გდინია) და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კოლოტოვმა და მალკომ, სტუმართაგან — კუპცევიჩმა.

## მძლეოსნობა

**ტოკიოში** 25 წლის იაპონელმა მარათონელმა ს. სომ მოიგო ტრადიციული „მაინიტის მარათონი“. მან ამ შეჯიბრების ისტორიაში მეორე მაჩვენებელს (2:09.05,6) მიაღწია.

**ნიუ იორკის** დარბაზში სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო მიღწევის ავტორმა ფ. ჯეკობსმა ამჯერად 225 სმ დაძლია და ცდით აჯობა მეტოქეებს. ირლანდიელმა ნ. მონესმა 1500 მეტრზე რბენაში სეზონში საუკეთესო შედეგი — 3.39,8 აჩვენა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. კლირ-შალერმა (გდრ) აქ 55 მეტრზე თარჯრბენში მოიგო პირველობა — 7,4. ევროპის საუკეთესო სპრინტერმა ო. რაიმ (გდრ) 55 მ რბენა ამერიკელ ჰ. გლანსთან მკერდით წააგო. ორივეს შედეგია 6,2.

**ლოს-ანჯელესში** 1000 იარდზე ასპარეზობისას 19 წლის ამერიკელმა მ. დეკერმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.23,8. თავისივე ადრინდელი მიღწევა ამ ქალმა 2,9 წამით გააუმჯობესა.

კარგ სპორტულ ფორმაში არიან კანადელი სიმაღლეზე მხტომელები დ. ბრილი, რომელმაც აქ 191 სმ გადალახა და გ. ჯო — 227 სმ.

# ათენიდან მოსკოვამდე

**ბერლინი.** „ოლიმპია ათენიდან მოსკოვამდე“ — ასეთი სახელწოდების წიგნი გამოსცა გდრ-ის სპორტულმა გამომცემლობამ.

წიგნის ავტორი კ. ულრიხი ოლიმპიური თამაშების ისტორიის შექმნისას დიდ ყურადღებას უთმობს ოლიმპიადების მომზადების პრობლემებს.

როგორც ცნობილია, 1896 წლიდან მოყოლებული ზაფხულის ოლიმპიადის ჩირაღდანი ოთხი კონტინენტის 16 ქალაქში (ზოგიერთში ორჯერ) აინთო.

„ერთნი, — მიუთითებს ულრიხი, — ბევრს ხარჯავდნენ ამ ღონისძიებაზე, მეორენი — ნაკლებს, მაგრამ ოლიმპიური იდეა ყველა ამ ქალაქში აწყდებოდა წინააღმდეგობას სპორტისადმი კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი საქმოსნური დამოკიდებულების გამო; მას მუდმივად უხდებოდა მსხვერპლის გაღება“.

ავტორს ამის დამადასტურებლად მოჰყავს ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის ბარონ დე კუბერტენის, ცნობილი მწერლების, კერძოდ, მ. ტვენის, ე. მ. რემარკის, გამოჩენილი ბრიტანელი იურისტის დ. პრიტის გამონათქვამები.

„პირველი ოლიმპიური დედაქალაქი, სადაც სპორტი ბიზნესს არ დაექვემდებარება, — ხაზგასმით აღნიშნავს ულრიხი, — იქნება მოსკოვი. „იგი აშენებს ახალ სპორტულ ნაგებობებს, რომლებიც თამაშის დამთავრების შემდეგ ქვეყნის მოქალაქეებს გადაეცემა“ (საქტესი).

რედაქტორი **ა. გასილაძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-59; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-46; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 09932